ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726083001
თარიღი:24/03/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-05

დ. ლენტეხი. 19 მარტი.2026წ.

მიმდინარე წლის 19 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებთან ერთად წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარეს ილია მეორის ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრება 5(ხუთი) წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი.

საკრებულოს მორიგ სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და აპარატის თანამშრომლები ანჟელა ჩანქსელიანი და ელისო გაზდელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ანგარიშის მოსმენა - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებზე და მიმდინარე წელს ამ მიმართულებით დაგეგმილ სამუშაოებზე.**

   /მომხს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი/

2. **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

   /მომხს: მერიის განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი /

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

   /მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და

სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე.**

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ფურელიანი/

სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით 2025 წელს გატარებულ ღონისძიებებზე და ამ მიმართულებით მიმდინარე წელს დაგეგმილ სამუშაოებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურს ჩატარებული აქვს გარკვეული სამუშაოები ამ მიმართულებით. კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით გატარებული აქვს ყველა ღონისძიება, მიცემული აქვს გაფრთხილებები. ძალიან საგანგაშო მდგომარეობა არის სტალინის ქუჩაზე ყოფილი რედაქციის და ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ატეკის ავარიულ შენობებთან დაკავშირებით. არის სერიოზული პრობლემები სოფლებშიც. აღნიშნული შენობები არის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი.

   აზრი გამოთქვა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუს ლიპარტელიანმა - საკითხი ძალიან სერიოზულია. მუნიციპალიტეტში გვაქვს ბევრი უსახური შენობა და ბევრი ავარიული შენობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანებს. ამიტომ პრევენციის მიზნით უნდა მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილება.

   აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა - მერია მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს ამ პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ ჩვენც პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით მივიღოთ განკარგულება.

   განკარგულების პუნქტები ჩამოაყალიბა კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა:

მუხლი1. ცნობად იქნეს მიღებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით 2025 წელს გატარებულ ღონისძიებებზე და ამ მიმართულებით მიმდინარე წელს დაგეგმილ სამუშაოებზე.

მუხლი2. მერიამ უზრუნველყოს:

1. **მუნიციპალიტეტის მაშტაბით ყველა უსახური, ამორტიზირებული და ავარიული შენობის აღრიცხვა;**

2. **სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ, ავარიულ შენობებთან დაკავშირებით დამატებით, კიდევ ერთხელ გააფრთხილოს - კერძო მესაკუთრეები, რომ ამორტიზირებული, ავარიული შენობები შემჭიდროვებულ ვადებში შემოღობონ მყარი (თუნუქის ან ხის) მასალით, ან მოახდინონ შენობის დემონტაჟი.**

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

2. **მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ანგარიში - 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა გაწეულ საქმიანობაზე.**

კითხვა დასვა: ფრაქცია ,,ხალხის ძალას“ თავმჯდომარის მოადგილემ დალი ტვილდიანმა - სოფ. გვიმბრალაში არსებული კოშკი თუ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხუსხაში.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არის აღრიცხვაზე, მაგრამ ჩვენ ადგილობრივად, ჩვენი ინიციატივით ვერ დავიწყებთ რაბილიტაციას.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა შეკითხვა დაუსვა მომხსენებელს:

სამსახურს თუ ქონია შენიშვნა ან სახელმწიფო აუდიტისგან ან შიდა აუდიტისგან.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ არასდროს არ ქონია სამსახურს შენიშვნა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში მოცულობითია, ნამუშევარიც არის და მისი აზრია, რომ წარმოდგენილი ანგარიში შეფასდეს დადებითად.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა - საახალწლო ღონისძიებები -7000 ლარი - რა შედის ამ თანხაში?

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ამ თანხაში შედის სათამაშოების შეძენა, ფეიერვერკი და საჩუქრები.

მოისმინეს: სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ მისი აზრით სამსახურის მუშაობა უნდა შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა 2025 წელს განხორციელებულ სოციალურ და ჯანმრთელობის პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ყოველწლიურად იზრდება სოციალური მუხლი, მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ყველა ბენეფიციარი იყოს კმაყოფილი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა - უფრო მეტი ყურადღება გვამახვილოთ მრავალშვილიანი ოჯახების და პატარა ბავშვების დახმარებებზე, რომ შევაჩეროთ მიგრაცია.

აზრი გამოთქვა: რცხმელურის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა მურმან ტვილდიანმა - წინა მოწვევის საკრებულოს პერიოდში გვქონდა 100 ლარიანი დახმარება 70 წელს მირწეულ ხანდაზმულებზე და კარგი იქნებოდა, რომ შეგვენარჩუნებინა ეს დახმარება.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამას მიჰქონდა ძალიან დიდი თანხა და ამავე დროს არ იყო ეფექტური. წლების განმავლობაში იყო ამ საკითხზე მსჯელობა და ბოლოს საკრებულოს და მერიის ერთობლივი შეთანხმებით გაუქმდა ეს მუხლი და გაიზარდა ოპერაციების დაფინანსება. დღეს ოპერაციების დაფინანსება გაზრდილია 1500 ლარამდე.

შეკითხვა დასვა: დათო ფურელიანმა - წითელ ჯვართან გაფორმებულია ხელშეკრულებით თუ ხართ კმაყოფილი?

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ დამაკმაყოფილებელია წითელი ჯვრის მუშაობა.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სამსახურის დადებითად შეფასების საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

4. მოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულია კომისიის სხდომაზე. აღნიშნული ტრანსპორტი არის მწყობრიდან გამოსული და კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ქონება შევიტანოთ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება - საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათსა და 30 წუთზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი